

საპენსიო სისტემის განვითარების პერსპექტივები საქართველოში,  
შედარებითი ანალიზი უცხოური ქვეყნების პრაქტიკასთან

კობა ხოხიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნეს ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

ნაშრომის ხელმძღვანელი: ალექსანდრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

კობა ხოხიაშვილი

05.07. 2021.

## განაცხადი

„ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდებისა (01.2021) და აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (01.2021)“.

კობა ხოხიაშვილი

05.07.2021.

## აბსტრაქტი

სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საპენსიო სისტემა, რომლის მთავარი დანიშნულებაა საპენსიო ასაკის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მსოფლიოში შეინიშნება მოსახლეობის დაბარების მატებისა და საშუალო ასაკის ადამიანების კლების ტენდენცია და ეს ტრენდი მომავალშიც შეუქცევადი პროცესი იქნება. აღნიშნული მოვლენა იწვევს სოციალური გადასახადების ზრდას, რაც მშრომელთა გადასახადების ზრდის ხარჯზე კომპესირდება. მსოფლიო საპენსიო რეფორმებმა აჩვენა, რომ კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა შედარებით მოქნილია ეკონომიკურ ცვლილებებთან, ხოლო მის შეფასება ხორციელდება ჩანაცვლების კოეფიციენტის მეშვეობით.

ნაშრომში განხორციელებული კვლევების მიზანს წარმოადგენდა საპენსიო სისტემის დადებითი და უარყოფითი ასპექტების გაანალიზება და წარმოჩენა. შესაბამისად, მასში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის დაგროვებითი საპენსიო სისტემის გამოცდილება. აგრეთვე, იგი გვთავაზობს ორ შერეულ, საზოგადოებრივ და ექსპერტთა კვლევას. მეორადი წყაროების განხილვისას გამოვლინდა დაგროვებითი საპენსიო სისტემის განვითარების აუცილებლობა. თუმცა, შერეული კვლევების საფუძველზე დადგინდა, არც თუ პოზიტიური დამოკიდებულება მის მიმართ.

ნაშრომი მოიცავს დაგროვებითი საპენსიო სისტემის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებსაც. მასში განხილულია დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეალური და ნომინალური სარგებლის, კერძო დაგროვებითი პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს დამატებული სახელმწიფო პენსიის დინამიკური და სხვ. ანალიზები, რომლებიც პოზიტიურ შედეგებს იძლევა.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგროვებით საპენსიო სისტემას უფრო მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე უარყოფითის. მას შეუძლია გააუმჯობესოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შესაბამისად, შექმნას საპენსიო ასაკის ადამიანებისთვის უკეთესი ცხოვრების პირობები.

**საძიებო სიტყვები:** დაგროვებითი საპენსიო სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საპენსიო სისტემა, საპენსიო ასაკი, პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი.

## Abstract

One of the important components of social policy is the pension system, which the main purpose is to improve the socio-economic situation of the population of retirement age

The world is experiencing an increasing trend of population aging and a decline of middle-aged people, and this trend will continue as an irreversible process. This phenomenon leads to an increase in social taxes, which is compensated by increase with workers' taxes. Global pension reforms have shown that the private pension system (Defined Contribution Pension System), is relatively flexible in the face of economic change. It is evaluated through the replacement coefficient.

The aim of the research conducted in the paper was to analyze and present the positive and negative aspects of the pension system. Accordingly, it discusses the experience of the Defined Contribution Pension System in different countries. It also offers two quantitative, public and expert surveys. The review of secondary sources revealed the need to develop a Defined Contribution Pension System. However, quantitative survey have not shown a positive attitude towards the Defined Contribution Pension System.

The paper covers both the positive aspects of the Defined Contribution Pension System and its negative aspects. It discusses the real and nominal benefits of Defined Contribution Pension System, it added the dynamics analyses of state pension and other analyzes that give positive results in dynamics.

In conclusion, we can mention that the Defined Contribution Pension System can bring more benefits than the negative. It can improve the socio-economic situation of the country. Therefore create better living conditions for people of retirement age.

**Key words:** Defined Contribution Pension System, Socio-Economic Situation, Pension System, Retirement Age, Pension Preplacement Rate.

## მადლობა

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, ვინც დაინტერესდა და მიიღო კვლევაში მონაწილეობა. მათ მიერ გაწეული ძალისხმევითა და მონდომების წყალობით გახდა შესაძლებელი საკვლევი მიზნის მიღწევა. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო სამეცნიერო ხელმძღვანელს - ბატონ ალექსანდრე ერგეშიძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ნაშრომის სრულყოფაში, მაძლევდა მითითებებსა და მიზიარებდა პროფესიულ გამოცდილებას.